

გამოყენების და ტექნიკური მომსახურების


სახელმძღვანელო



700 serie 700serie



მოტობლოკის აწყობის ინსტრუქცია






SCATOLA BOX CAJA CAIXA CUTIE	CONTENUTO CONTENT CONTENIDO CONTEÚDO CONTINUT	MASSA WEIGHT PESO MASSA GREUTATE
S1	<ul style="list-style-type: none"> • CORPO MACCHINA / MACHINE / CUERPO MAQUINA / CORPO DA MAQUINA / CORP MAȘINA • STEGOLA unita al corpo macchina solo dai cavi di comando / HANDLEBAR connected to the machine only by control cables / MANILLAR unita al cuerpo solo por los cables de mando / RABIÇA unita ao corpo da máquina apenas pelos cabos de comando / GHIDON unită de control mașini doar prin cablurile de comandă • PARAFANGHI DI PROTEZIONE / PROTECTIVE GUARDS INSTALLATION / PARAFANGOS DE PROTECCION / GUARDALAMAS DE PROTECCAO / ARIPI DE PROTECTIE 	63-92 kg
S2	FRESE COMPLETE / ROTARY TILLER / FRESA COMPLETA / FRESAS COMPLETAS / FREZE COMPLETE	20 kg

- A**
- PER ESTRARRE LA MOTOSAPPA DALLA SCATOLA È OPPORTUNO MONTARE LA STEGOLA SUL CORPO MACCHINA (FIG. A) E INSTALLARE I VARI COMPONENTI (FIGURE B - C-D)
 - TAKE OUT THE MOTOR-HOE ONLY AFTER HAVING ASSEMBLED THE HANDLEBARS ON THE MACHINE (FIG. A) AND ASSEMBLE THE COMPONENTS (FIG. B - C-D)

A PARA EXTRAER LA MOTOZAPPA DE LA CAJA ES RECOMENDABLE MONTAR EL MANILLAR EN LA MAQUINA (FIG.A) Y INSTALAR LOS COMPONENTES (FIG.B-C-D)

• PARA TIRAR A MOTOENXADA DA CAIXA, É CONVENIENTE MONTAR A RABIÇA NO CORPO DA MÁQUINA (FIG. A), INSTALAR OS VÁRIOS COMPONENTES (FIG.B-C-D)



მოტობლოკი

700 serie 700serie



მოტობლოკის გამოყენებამდე ყურადღებით წაიკითხეთ ამ სახელმძღვანელოში მოცემული ინსტრუქცია

სარჩევი
შესავალი
უსაფრთხოების რეგულაციები
ზოგადი შეტყობინებები
ძრავის დაქოქვა
მოტობლოკის ოპერირება
მისაბმელების ოპერირება
ტექნიკური მომსახურება
საიდენტიფიკაციო მონაცემები
მოტობლოკის იდენტიფიკაცია
ძრავის იდენტიფიკაცია
EC მარკირება
ტექნიკური სპეციფიკაცია
ძრავა
დაწყება
გადაბმა
გადაცემა
ტრანსმისია
PTO
საჭეები
ბორბლები/საბურავები (მოთხოვნით)
ფრეზი
მასა/წონა
ზომები
უსაფრთხოების მოწყობილობა
იარლიყები-ინსტრუქციები-უსაფრთხოება
მოტობლოკის რეგულირება
რეგულირების ოპერირება
ინსტალაცია
ფრეზის ინსტალაცია

დამცავი ნაწილების ინსტალაცია
 მოტო ბლოკის საყრდენი
 (მხოლოდ დიზელის ძრავებისთვის)
 სადგარის მორგება
 მოტობლოკის ოპერირება
 ძრავის ჩართვა
 ძრავის გამორთვა
 ტექნიკური მომსახურეობა
 ძრავა
 ზეთის კოლოფის ჰაერის ფილტრი
 გადაცემათა კოლოფი და ტრანსმისია
 ფრეზები
 შემოწმებები და მორგება
 გადაბმულობის ბერკეტი
 რევერსული სიჩქარის ჩართვის მარეგულირებელი ბერკეტი
 EC შესაბამისობის სერთიფიკატი

შესავალი

ეს სახელმძღვანელო მოიცავს მოტობლოკის გამოყენების და ტექნიკური სერვისის ინსტრუქციებს, ტექნიკურ სპეციფიკაციას და სიფრთხილის ზომებს. მოდელი 700 series

ახალი მოტობლოკის გამოყენებამდე ყურადღებით წაიკითხეთ ამ სახელმძღვანელოში მოცემული ინსტრუქცია. ეს სახელმძღვანელო მოიცავს უახლეს ინფორმაციას თქვენი მოტობლოკის შესახებ რომელიც ხელმისაწვდომია ამჟამად.

მწარმოებელი ინარჩუნებს უფლებას შეცვალოს ეს დოკუმენტი ნებისმიერ დროს წინასწარი შეტყობინების გარეშე.

გაყიდვის შემდგომი სერვისი. გამოიყენეთ მხოლოდ ორიგინალი სათადარიგო ნაწილები. არა ორიგინალი ნაწილების გამოყენება აუქმებს გარანტიას როცა უკვეთავთ სათადარიგო ნაწილებს, დააკონკრეტეთ:

- მოტობლოკის სერიული ნომერი;
- ნაწილის კოდი მოთხოვნა სათარიგო ნაწილზე;
- მოთხოვნილი სათადარიგო ნაწილების რაოდენობა.

უსაფრთხოების რეგულაცია

ზოგადი შეტყობინებები

ნებისმიერი ძრავით მართული მექანიზმი შეიძლება გახდეს საშიში თუ გამოიყენებთ არასწორად.

ყურადღება მიაქციეთ განსაკუთრებულად ინსტრუქციებს, რომლებიც მონიშნულია ამ სახელმძღვანელოში.

გაფრთხილება



ეს სიმბოლო ნიშნავს იმას რომ რეგულაციის დაუცველობამ შეიძლება გამოიწვიოს ოპერატორის დაზიანება ან სიკვდილიც კი.



წინდახედულება



წინდახედულება ოქროს წესია რათა თავიდან აიცილოთ უბედური შემთხვევა.



ტრენინგი

მოტობლოკი უნდა გამოიყენოს მხოლოდ პასუხისმგებელმა პირმა, რომელიც მომზადებულია ტექნიკის გამოყენებაში და სათანადოდ ავტორიზებულია მის გამოყენებაში.



ტექნიკის და ძრავის სახელმძღვანელოები

მოტობლოკის ჩართვამდე, გამოყენებამდე, სერვისამდე, საწვავის შევსებამდე, ნებისმიერი სამუშაოს განხორციელებამდე ყურადღებით წაიკითხეთ სახელმძღვანელო.



ნიშნები

წაიკითხეთ ყველა ნიშანი რომელიც დაკრულია მოტობლოკზე და მიყევით მათ წარწერებს სანამ ჩართავთ, ატარებთ, შეავსებთ საწვავს ან სერვისს ჩაუტარებთ. შეცვალეთ დაუყოვნებლივ ნებისმიერი დაზიანებული და უვარგისი ნიშანი.



შესაბამისი ტანსაცმელი

არ ჩაიცვათ განიერი და ფართოხუნა ტანსაცმელი, რაც შეიძლება ჩაითრიოს მოძრაობა ნაწილებმა.

ყოველთვის ატარეთ რეზინის ხელთათმანები როცა იყენებთ მოტობლოკს ან მისაბმელებს.

არ გამოიყენოთ თქვენი მოტობლოკი ფეხშიშველმა, როცა გაცვიათ სანდლები ან შორტები. ჩაიცვით მძიმე ფეხსაცმელი და შარვალი.



ფიზიკური მდგომარეობა



ძრავის ჩართვა

გამორთეთ ყველა საკონტროლო ბერკეტი სანამ ჩართავთ მოტორს. ტექნიკაზე მორგებულ მისაბმელებზე ფეხი გედგათ.

არ ამუშაოთ ძრავა დახურულ გარემოში, სადაც გამოყოფილი გაზები შეიძლება დაგროვდეს. ისინი შეიცავს კაბონის მონოქსიდს რაც ძალიან ტოქსიკურია.

ზეთის კოლოფის ჰაერის ფილტრში, როდესაც მოწოდებულია ახალი მოტობლოკი, არ არის ზეთი. სანამ გამოიყენებდეთ თქვენს მოტობლოკს დაამატეთ მოტორის ზეთი მონიშვნის დონემდე.



მოტობლოკის ოპერირება

პირველ რიგში, დარწმუნდით რომ თქვენ იცით როგორ გამორთოთ ძრავი კრიტიკულ მდგომარეობაში. გაეცანით კონტროლს და ისწავლეთ თუ როგორ

არ ატაროთ მოტობლოკი თუ თქვენი ფიზიკური მდგომარეობა არ არის შესაფერისი.



ხმაური



რათა შეამციროთ ტექნიკის ხმაურით გამოწვეული პრობლემები არ ამუშაოთ ძრავა მაქსიმალურ ბრ/წთ ზე.

როცა თქვენ იყენებთ ტექნიკას დიდი ხნის განმავლობაში, გამოიყენებთ ყურის დამცავები.



ძრავის ბრ/წთ

არ შეცვალოთ ინჟექტორების სისტემა ძრავის მაქსიმალური ბრ/წთ-ის გაზრდის მიზნით, ძრავის მუშაობა ძალიან მაღალ სიჩქარეზე ზრდის უბედური შემთხვევების რისკს.



პირველადი დახმარება



ძალიან კარგი ოპერირების პრაქტიკაა, როდესაც გაქვთ პირველადი დახმარების ყუთი მოტობლოკზე.

გამოიყენოთ თქვენი მოტობლოკი სწორად.

ნება არ დართოთ ბავშვებს ან გამოუცდელ ადამიანებს მართონ იგი.

არ გამოიყენოთ თქვენი მოტობლოკი სხვა ხალხის სიახლოვეს განსაკუთრებით ბავშვების. არ გამოიყენოთ იგი ცხოველებთან ახლოს. გახსოვდეთ რომ თქვენ ხართ პასუხისმგებელი ყველა დაზიანებაზე ან ზიანზე, რომელიც გამოწვეულია ადამიანების და საგნების მიმართ.

ხელები და ფეხები გქონდეთ სუფთა ფრეზთან მისი მოძრაობისას.

გამოიყენეთ თქვენი მოტობლოკი მხოლოდ დღის სინათლეზე ან კარგ ხელოვნულ სინათლეზე, ამუშავეთ ნელა სიარულით. არ ირბინოთ.

განსაკუთრებულად მიაქციეთ ყურადღება დაქანებას. ამუშავეთ მხოლოდ უსაფრთხო და სტაბილურ პირობებში. არ ამუშაოთ

აღმართზე და დაღმართზე. ამის ნაცვლად ამომრავეთ დახრილობის გასწვრივ. განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინეთ მობრუნებისას.

გასაგები მიზეზებით არასდროს ამუშაოთ დაქანებაზე რომელიც 30°-ზე მეტია ან დანადგარი შეიძლება გადაყირავდეს.

რათა დავრწმუნდეთ რომ გაზოლინით შევსებული ძრავი სწორად არის გაპოხილი, თავიდან აიცილეთ მუშაობა დიდი ხანი დაქანებაზე რომელიც 20° მეტად დახრილია.

არ ამუშაოთ თქვენი მოტობლოკი მისი დამცავების გარეშე.

არ ამუშაოთ თქვენი მოტობლოკი თუ დამცავები და სხვა უსაფრთხოების მოწყობილობები არ არის ან დეფექტურია. ხელები და ფეხები გქონდეთ სუფთა მისაბმელებთან.

არ ასწიოთ და გადაიტანოთ თქვენი მოტობლოკი ჩართული ძრავით.

არ დატოვოთ თქვენი მოტობლოკი დახურულ გარემოში ავზში საწვავით. საწვავის აორთქლება არის საშიშროების პოტენციური წყარო.

შეინახეთ თქვენი მოტობლოკი სუფთად. ბალახის და ზეთის ნარჩენები არ შერჩეს დანადგარს რადგან ეს ხანძარსაშიშია.



მისაბმელების ოპერირება

შეამოწმეთ რომ მისაბმელი მიერთებული იყოს PTO ფუნქციებთან სწორად სანამ ჩართავთ მოტორს.

არასდროს გამოიყენოთ მისაბმელები მიერთებული PTO-სთან ცხოველების და ბავშვების სიახლოვეს.

ხელები და ფეხები გქონდეთ სუფთა მისაბმელებთან რომლებიც მიერთებულია PTO -სთან.



ტექნიკური მომსახურება

გაზოლინის ძრავებისთვის გათიშეთ და გამორთეთ ძრავი:

-თქვენი მოტობლოკის შემოწმებამდე ან შეკეთებამდე


- ზედმეტი ვიბრაციის შემთხვევაში (გამოარკვეით მიზეზი დაუყოვნებლივ) გამორთეთ ძრავი სანამ მიამაგრებთ მისაბმელებს.

პერიოდულად შეამოწმეთ რომ ყველა ჭანჭიკი და ბოლტი არის დამაგრებული.

საწვავი არის მაღალ აალებადი. შეინახეთ საწვავი მხოლოდ სპეციალურად შექმნილ კონტეინერში. მოტობლოკის საწვავი შეავსეთ ღია ადგილას. საწვავის შევსებისას არ მოწიოთ.

დაასრულეთ საწვავის შევსება სანამ ჩართავთ ძრავს. არ მოხსნათ საწვავის ავზის თავსახური ან არ შეავსოთ როდესაც ძრავი ჩართულია ან ცხელია. საწვავის დაღვრის შემთხვევაში არ ჩართოთ ძრავა. მის ჩართვამდე გასწიეთ თქვენი მოტობლოკი გარკვეული მანძილით იმ ადგილიდან სადაც მოხდა საწვავის დაღვრა.

შეცვალეთ გამოყოფის მილი თუ დაიხევა ან დაზიანდება.



საიდენტიფიკაციო მონაცემები

მოტობლოკის იდენტიფიკაცია

სერიული ნომერი ფიქსირდება მოტობლოკის გადაცემათა კოლოფის ძრავის მხარეს. (იხ. სურათი 1, პუნქტი1)

ძრავის იდენტიფიკაცია

იხილეთ ძრავის ოპერირების და მოვლის სახელმძღვანელო.

EC მარკირება

მოტობლოკს აქვს EC მარკირება ევროპის საზოგადოების საბჭოს 89/392/EEC დირექტივის შესაბამისად და შემდგომი ცვლილებების შესაბამისად. (იხ. სურათი 1, პუნქტი2)

EC მარკირების შეჯამება რომელიც დაკავშირებულია 700 series მოდელებთან ნაჩვენებია ქვემოთ.

მარკირების ტიპი მოტობლოკი 700 series	ხმაური და ვიბრაცია ტესტირების პირობები ძრავის RPM-სტაციონალურად ბეტონის ბრტყელ ზედაპირზე		
<p>მოდელები : 700 series პროგრესული ერთეულის ნომერი იწყება AN03032* (ამოტვიფრულია გადაცემათა კოლოფზე)</p>	<p>ხმის მოქმედება ოპერატორის ყურებზე DB(A)</p>	<p>აკუსტიკური ძალა DzB(A)</p>	<p>აქსელერაცია ხელის მოჭიდებაზე EN1033- 28662/1 მ/წმ²</p>
<div style="border: 1px solid black; border-radius: 15px; padding: 10px; width: fit-content;"> <p>BCS s.r.l. 36040 Sossano Vicenza Italy Modela tipo 700 series N serie: CM 25x00000</p> </div>	<p>ძრავა HONDA GX200 წონა 65 კგ ფრეზით 69 სმ ბოლოში დისკებით.</p>	<p>79</p>	<p>-</p> <p style="text-align: right;">9,50</p>

სერიული ნომრის წარწერა: CM 25 დანადგარის ტიპი

X წარმოების წელი

00000 დამზადების კვირა

00000 დამზადების პროგრესული ნომერი

ტექნიკური სპეციფიკაცია

ძრავა

HONDA GX200

4ტაქტიანი გაზოლინი

4,8კვ(6,5ც.ძ)

196 cc

ამგრა

ავტო -ამძრავი მოწყობილობა

გადაბმულობა

ორმაგი ბრტყელი მშრალი გადაბმულობა

მარეგულირებელი ბერკეტით მარცხენა

საჭეზე.

მექანიზმი

სამი წინა სიჩქარე და ერთი უკუ სიჩქარე (უსაფრთხოების მოწყობილობით). სიჩქარე კონტროლირდება მორგებული ბერკეტით. მაქსიმალური სიჩქარის მიღწევა დამოკიდებულია შესაბამისად დამონტაჟებულ მანქანის საბურავის (მოთხოვნის მიხედვით) ტიპისა, მითითებულია შემდეგ ცხრილში.

სიჩქარე კმ/ს -ში და მბრუნავი ფრეზი ძრავი 3600 რპმ-ზე				
საბურავი 4,00-8	I	II	III	რს
	4,6	8,6	12.6	4,1
ფრეზი რპმ	60,7	133	166	54

გადაცემა

ზეთის ავზის გადაცემათა კოლოფი დაქანების წყვილით ფრეზის სამართავად

ძალის ამძრავი (PTO)

2 ძალის ამძრავი:

-ზედა ძალის ამძრავი არის დამოუკიდებელი გადაცემისგან (ბრუნვის სიჩქარე უდრის ძრავის ლილვის ბრ/წთ)

-ქვედა ძალის ამძრავი სინქრონიზებულია გადაცემით (ბრუნვის სიჩქარე როგორც სიჩქარის ფუნქცია ჩართულია).

ძალის ამძრავის ზომები არის ნაჩვენები

სურათი 2.

საჭეები


სიმაღლის და სიგანის რეგულირება სწრაფი ჩამკეტი მოწყობილობით.

ბორბალი/საბურავები (მოთხოვნით)

-საბურავები სოფლის მეურნეობის დანიშნულების.

-ხელმისაწვდომი ზომები 4.00-8.

-შევსების წნევა: 1,2 ბარი.



PTO , მაქს, ბრუნვის სიჩქარე 3600 რპმ

ზედა ამძრავი: დამოუკიდებელი

ქვედა ამძრავი: სინქრონიზებული

ფრეზი


ურთიერთშენაცვლებადი ფრეზი;

სურათზე 3. ნაჩვენებია სხვადასხვა

ფრეზების სამუშაო სიგანის სხვადასხვა

ვერსიები, რომლებიც ხელმისაწვდომია

როგორც აქსესუარები.



მასა


იხილეთ ხელსაწყოთა საიდენტიფიკაციო ვირფიტაზე.

ზომები

მოტობლოკის საერთო ზომები არის ნაჩვენები

სურათზე 4

ზედა



უსაფრთხოების მექანიზმი

მოტობლოკი აღჭურვილია შემდეგი უსაფრთხოების მოწყობილობით, რათა უზრუნველყოს მაქსიმალური უსაფრთხოება მექანიზმის ოპერირებისას.

- უკუ სიჩქარის ჩართულობის კონტროლის ბერკეტი, რომელიც, როდესაც მოშვებულია, თიშავს უკუ სიჩქარეს ავტომატურად.
- ძრავის გათიშვის ბერკეტი; ძრავა დაუყოვნებლივ ითიშება, როდესაც წითელი ბერკეტი თავისუფალია.



გაფრთხილება

არ შეუშალოთ ხელი უსაფრთხოების მოწყობილობას. არ გამოიყენოთ მოტობლოკი თუ უსაფრთხოების მოწყობილობა დაიკარგება ან დეფექტურია.

იარლიყები ინსტრუქციები და უსაფრთხოება

გთხოვთ იხილოთ ქვემოთ მოცემული წებოვანი იარლიყები. უბედური შემთხვევის თავიდან აცილების მიზნით, ისინი ყოველთვის კარგად უნდა იკითხებოდეს. არ უნდა იყოს დაზიანებული, თუ მწარმოებელი არ ითხოვს აუცილებლად შეიცვალოს სათადარიგო ორიგინალი ნაწილები.



მოტობლოკის მართვა

იხ.სურათი 5.


1. დროსელის რეგულირების ბერკეტი.
2. უკუ სიჩქარის ჩართულობის რეგულირების ბერკეტი.

(უბედური შემთხვევის

პრევენციის მოწყობილობა)

3. მექანიზმის ბერკეტი.
4. საჭეების საკეტის მოშვების ბერკეტი.
5. ძრავის გამომრთველი ბერკეტი.

- 6. გადაბმის ბერკეტი.
- 7. ფეხის ჩასაკეტი ბერკეტი.



ოპერირების

რეგულირება

იხ.სურათი 5

დროსელის რეგულირების ბერკეტი (1)

–ბერკეტი (1) ზედა პოზიციაში: ძრავა ნეიტრალურ მდგომარეობაში

–ბერკეტი (1) ქვედა პოზიცია: ძრავის მაქსიმალური ბრ/წთ

უკუ სიჩქარის რეგულირების ბერკეტი (2)



გაფრთხილება

უკუ სიჩქარის რეგულირების ბერკეტი (2) არის უბედური შემთხვევის პრევენციის მოწყობილობა. არ გამოიყენოთ მოტობლოკი, თუ ეს უსაფრთხოების მოწყობილობა დეფექტურია. ბერკეტი სრულდება შემდეგნაირად:

ა. დააყენეთ დროსელის რეგულირების ბერკეტი (1) ნეიტრალურ მდგომარეობაში.

ბ. ამოსწიეთ გადაბმის ბერკეტი.

გ. გადაცემათა ბერკეტი გადაიტანეთ (3) ნეიტრალურ პოზიციაში პირველისა და უკუ სიჩქარის ბერკეტს და სიჩქარე “რ” შორის (იხ. სიჩქარის კონტროლის ფირფიტა გვერდზე 7)

დ. ამოსწიეთ უკუ სიჩქარის რეგულირების ბერკეტი (2)

ე. თანდათანობით გაათავისუფლეთ გადაბმის ბერკეტი სანამ აჩქარებთ ძრავას. უკუ სიჩქარე ჩართული რჩება, სანამ ბერკეტი (2) ამოწეულია; როცა გათიშავთ ბერკეტს (2) უკუ სიჩქარე ავტომატურად გაითიშება.

მექანიზმის ბერკეტი (3)

გამოიყენეთ მექანიზმის ბერკეტი როგორც მითითებულია ქვემოთ:

ა. დააყენეთ დროსელის რეგულირების ბერკეტი (1) ნეიტრალურ მდგომარეობაში.

ბ. ამოსწიეთ გადაბმის ბერკეტი.

გ. გადასწიეთ ბერკეტი (3) საჭირო პოზიციაში: წინა სიჩქარე ან უკუ სიჩქარე (იხ. „სიჩქარის რეგულირების“ ფირფიტა გვერდზე 7) და გაანთავისუფლეთ იგი როგორც კი მექანიზმი ამოქმედდება.

დ. თანდათანობით გაათავისუფლეთ გადაბმის ბერკეტი ძრავის აჩქარებისას.

ე. მექანიზმის გასათიშად, ამოსწიეთ გადაბმის ბერკეტის და გადაიტანეთ გადაბმის ბერკეტი (3) ნეიტრალურ პოზიციაში.

საჭეების ჩაკეტვა-გახსნის ბერკეტი (4)

ეს საშუალებას გაძლევთ სახელური მთავრით სიმძლევით და სიგანეზე და რათა კომფორტულად მოიხრეთ მოწყობილობის ტარება და დამუშავების სიღრმე. უბრალოდ აბრუნეთ ბერკეტი (4) საათი საწინააღმდეგო მიმართულებით რათა გაათავისუფლოთ საჭეები.

ძრავის შეჩერების ბერკეტი(5)

ბერკეტი (5) ჩაწეულია: ძრავა ჩართულია.

ბერკეტი (5) გათავისუფლებულია: ძრავი გამორთულია.

გადაბმის ბერკეტი(6)

ბერკეტი (6) ამოწეულია: გადაბმა გათავისუფლებულია.

ბერკეტი (6) გათავისუფლებულია: გადაბმა ჩართულია.

ფეხის საკეტი ბერკეტი (7)

ეს საშუალებას გაძლევთ ფეხი მოაშოროთ, როდესაც უკანა საკიდი აქსესუარები დანადგარზეა. უსაფრთხოების სამარგის მოხსნის შემდეგ, რომელიც ჩადებულია ბერკეტის ქვემოთ, მოაბრუნეთ ბერკეტი (7) და ამოსწიეთ დამაგრებული სამაგრი.

მონტაჟი

ფრეზის მონტაჟი


ინსტრუმენტის სახელურს აქვს ექვსკუთხა განივი, რომელიც გვძლევს იმის საშუალებას, რომ სწრაფად და მარტივად ვამონტაჟოთ ფრეზები ან სხვა მისამაგრებელი ნაწილები. განაგრძეთ შემდეგნაირად (იხ. სურათი 6):

ა) გაწმინდეთ ფრეზის მილისები (1) და ექვსკუთხა სახელური (2)

კარგად დაიტანეთ ცოტა საპოხი რათა ხელი შეუწყოს აწყობას და სამომავლოდ მოხსნას.

ბ) მოარგეთ ფრეზის მილისი ექვსკუთხა სახელური და დაამაგრეთ იგი სამაგრით (3) რომელსაც მოყვება ზამბარა სამაგრი. გავითვალისწინეთ შემდეგი:

- სამაგრის სარჭი (3) ყოველთვის უნდა იყოს ფრეზის ბრუნვის საპირისპირო მიმართულებით.
- ფრეზის საჭრელი კუთხე უნდა იყოს მიმართული მოტობლოკის წინა ნაწილისკენ.
- კულტივირებისთვის ქვიშიან ან ქვებისგან თავისუფალ მიწაზე მოარგეთ ორი ფრეზი, ისე რომ შესაბამისი შესაბამისი თუნუქები, დანადგარის ორივე მხარეს, იყოს იგივე ღერძზე. (იხ. დეტალი A).
- ქვიან მიწაზე მუშაობის გასამარტივებლად, მოარგეთ ორი ფრეზი ისე, რომ შესაბამისი თუნუქები დანადგარის ორ მხარეს მოძრაობდეს (იხ. დეტალი B). ამ მიზნით ფრეზის მილისს აქვს ორმაგი ხვრელები. ორმაგი ხვრელი.



დამცავების მონტაჟი




გაფრთხილება

დამცავები მოქმედებს ისე როგორც უსაფრთხოების მოწყობილობა უნდა მოერგოს სანამ მოტობლოკს გამოიყენებთ.


ა. ააწყვეთ უმოდრაო დამცავი, თუ ჯერ არ არის დამონტაჟებული, დაამაგრეთ სამი ხრახნით (იხ. სურათი 7, პუნქტი 1).

გ. მოხსენით სამი ხრახნი (2) და მოძრავი დამცავი (3) ფიქსირებულიდან, მოძრავი დამცავი ისევ დაამაგრეთ ხრახნებით (2) და შესაბამისი ქანჩებით.



მოტობლოკის მხარდაჭერა (მხოლოდ დიზელის ძრავები)

მოტობლოკი აღჭურვილია დიზელის ძრავებით, მორგებულია სპეციალური ძრავის აძვრის დამცავი, თუ გადართულია 90°-ზე, რომელიც მოქმედებს ასევე როგორც მოტობლოკის დამცავი (იხ. სურათი 8)



ფეხის მორგება

რათა უზრუნველყოფილი იყოს მოტობლოკის

დამაკმაყოფილებელი ოპერაცია და სწორი გადაადგილება განსხვავებული სახის მიწაზე და ფეხის პოზიცია მოარგეთ შემდეგნაირად (იხ. სურათი 9)

ა. მორგება მყარ ნიადაგზე: მოუშვით ხრახნი (1) და ასწიეთ ფეხი რათა მოტობლოკის სიმძიმის ცენტრი გადავიდეს უფრო უკანა პოზიციაზე.


ბ.. მორგება რბილ ნიადაგზე: მოუშვით ხრახნი (1) და ფეხი დასწიეთ ქვემოთ, რათა მოტობლოკის სიმძიმის ცენტრი გადავიდეს მბრუნავ როტორზე.

ფეხის მხარდაჭერის მკლავი შეიძლება დარეგულირდეს რათა საშუალება მისცეს მოტობლოკს კულტივირების დროს გადაადგილდეს გვერდებზე. მორგებისთვის იმოქმედეთ შემდეგნაირად:

გ. მოუშვით ქანჩი (2) და გადაატრიალეთ ხრახნი (3)

სანამ არ მიიღება სასურველი მდგომარეობა, ისევ მოუჭირეთ ხრახნი.

დ. ეს ოპერაცია შეასრულე მკლავის ორივე მხარეს. ფეხი შეიძლება მთლიანად შეკავშირება მკლავთან მიმართებაში, რათა ხელი შეუწყოს მოტობლოკის საჭის მართვას. ამის გასაკეთებლად, მორგების მოწყობილობა (4) გადაატრიალეთ ზევით.



სურათი 9

მოტობლოკის ოპერირება

ზეთის ავზის ჰაერის ფილტრი (თუ მორგებულია) – როცა დანადგარი ახალია, არ არის ზეთი ჰაერის ფილტრში.

სანამ მოიხმარებთ თქვენს მოტობლოკს დაამატეთ მოტორში ზეთი მონიშნულ დონემდე.

ა. გაათავისუფლეთ ყველა მართვის ბერკეტები სანამ ძრავას ჩართავთ.

ბ. გახსენით საწვავის ონკანი (თუ ახლავს).

გ. თუ ძრავას ჩართავთ ცივად, გამოიყენეთ კარბურატორზე დამონტაჟებული დროსელი (მხოლოდგაზოლინის ძრავისთვის).

დ. ქვემოთ დასწიეთ ძრავის გაჩერების ბერკეტი (იხ. სურათი 10, პუნქტი 1) და პარალელურად ამოწიეთ გადაბმის ბერკეტი (2) ბოლომდე ზემოთ.

ე. ჩაკეტეთ გადაბმის ბერკეტი (2) საკეტი მოწყობილობით (3).

ვ. მოაბრუნეთ დროსელის რეგულირების ბერკეტი (4) $\frac{1}{4}$ ბრუნით.

ზ. მოუჭირეთ ამოსაქაჩ სახელურის თოკს და ამოწიეთ მყარად და სწრაფად.


თ. როდესაც ძრავა ჩაირთვება თოკი გადაიხაროს უკან ნელა (ავტო მოხრის მოწყობილობის დანადგარისთვის).

ი. გადაატრიალეთ დროსელის რეგულირების ბერკეტი (4) ნეიტრალურ პოზიციაში და ძრავას აცადეთ გათბეს.

ძრავის ჩართვა

შენიშვნა

იხილეთ ძრავის ოპერირების და ტექნიკური სერვისის სახელმძღვანელო ყველა სახელმძღვანელო ძრავის შესახებ ნებისმიერ ინფორმაციასთან დაკავშირებით.



გაფრთხილება

კ. როგორც კი ძრავა ჩაირთვება, გაატავისუფლეთ დროსელი (მხოლოდ გაზოლინის ძრავისთვის)

შენიშვნა


არ დატოვოთ გადაბმის ბერკეტი აწეული დიდი ხანი ძრავის ჩართვის შემდეგ. ამან შესაძლოა დააზიანოს გადაბმულობა.

ძრავის გამორთვა

- ა. ჩართეთ დროსელის რეგულირების ბერკეტი (იხ. სურათი 11, პუნქტი1) ნეიტრალურ მდგომარეობაში.
- ბ. გათიშეთ საწვავის ონკანი (თუ არის).
- გ. გაათავისუფლეთ ძრავის გაჩერების ბერკეტი (2).

გაფრთხილება

ძრავის გამორთვის ბერკეტი (2) ისევ მუშაობს როგორც უსაფრთხოების მოწყობილობა (ავარიული გამორთვა) და თიშავს ძრავას როგორც კი განთავისუფლდება.



ტექნიკური სერვისი

რათა მუდმივი სანდოობის უზრუნველყოფის მიზნით, თქვენი მოტობლოკისთვის გამოიყენეთ მხოლოდ ორიგინალი სათადარიგო ნაწილები როცა იქნება საჭირო სარემონტო ან კაპიტალური შეკეთება.

ძრავა

დარწმუნდით, რომ იცავთ ძრავის ოპერირების და ტექნიკური სერვისის სახელმძღვანელოში მოცემულ უსაფრთხოების ზომებს.

პირველი 50 საათის

განმავლობაში (მუშაობის)

პირველი 50 საათის განმავლობაში არ ამუშაოთ ტექნიკა მძიმე სამუშაოსთვის. შემდეგი დამატებითი ინსტრუქციები უნდა იქნეს დაკმაყოფილებული მუშაობის პერიოდში.

ზეთის ავზის ჰაერის

ფილტრაცია

ყოველ 8 საათში

შეამოწმეთ ჰაერის ფილტრში ზეთის დონე. თუ აუცილებელია, ბოლომდე

შეავსეთ ძრავის ზეთით. გაწმინდეთ და გაფილტრეთ ელემენტი, ისევე როგორც მითითებულია ძრავის ოპერირების და ტექნიკური სერვისის სახელმძღვანელოში.

შენიშვნა

ფილტრის გაწმენდის სიხშირე დამოკიდებულია ოპერატიულ პირობებზე, მაგრამ არასდროს არ უნდა აღემატებოდეს 8 საათს ან მეტს.

გადაცემათა კოლოფი და ტრანსმისია

50 საათის შემდეგ (მუშაობის)

შეცვალეთ გადაცემის /ტრანსმისიის ზეთი (იხ. სურათი12).

შეცვალეთ ზეთი როცა ძრავა იქნება ცხელი ხელი რათა ხელი შეუწყოთ ზეთის ჩამოსული ზეთი დაწრეტას.

ა. მოხსენით ზეთის ფილტრის თავსახური (1).

ბ. მოხსენით ზეთის დაწრეტის სარჭი (2) გადამცემი კოლოფის ფსკერიდან, მარჯვენა მხარეს და ზეთის დაწრეტის სარჭი (3) ქვედა ნაწილიდან და აცადეთ ზეთი ჩამოიწრიტოს. როცა მთლიანად დაიწრიტება, გადააყენეთ ჩამრთველები (2) და (3).

(გ) შეავსეთ ქვემოთ მოცემული სახის ახალი ზეთით (1.75 ლიტრით)

- SAE 90 გარემო ტემპერატურა და -6 და +32 °C შორის;
- SAE 140 გარემო ტემპერატურა და +32+60 °C შორის;


ზეთის მიწოდება ხორციელდება ზეთის ფილტრის მილით (1).

შენიშვნა

შეამოწმეთ ზეთის დონე ცივ ძრავში და მოტობლოკი იდგეს მიწაზე.

ყოველ 300 საათში

ზემოთ პუნქტში მოცემული ინსტრუქციების მიხედვით შეცვალეთ სიჩქარეთა გადაცემის კოლოფი და ტრანსმისია.



ფრეზები

ყოველ 100 საათში

შეამოწმეთ ყველა ჭანჭიკი და ბოლტი თუ არ მოჭერილი. თუ აუცილებელია მოჭირეთ.

შემოწმება და რეგულირება

გადაბმის ბერკეტი

გადაბმის ბერკეტს

აუცილებლად უნდა ჰქონდეს 5 ან 6 მმ თავისუფალი მოძრაობა სანამ გადაბმულობა დაიწყებს გათავისუფლებას.

არასაკმარისმა მოძრაობამ შეიძლება გამოიწვიოს გადაბმულობის სრიალი, მაშინ როდესაც გადამეტებულმა მოძრაობამ შეიძლება გამოიწვიოს სრული გათიშვა. მოძრაობა მოარგეთ კაბელის მოსარგები ხელსაწყოთი (იხ. სურათი 13, პუნქტი1).





უკუ სიჩქარის ჩართვა რეგულირების ბერკეტთან





უკუ სიჩქარის ჩართულობის რეგულირების ბერკეტს უნდა ჰქონდეს თავისუფალი მოძრაობა 5ან 6მმ, სანამ უკუ სიჩქარე ჩაირთვება.

თუ ბერკეტის თავისუფალი მოძრაობა არასაკმარისია (უკუ

სიჩქარე რჩება ჩართული) ან ზედმეტია (უკუ სიჩქარე არ რჩება ჩართული), მოარგეთ მოძრაობა კაბელის მოსარგები მოწყობილობით (იხ სურათი13, პუნქტი 2)

სურათი 13





მიწოდება და საგარანტიო სერთიფიკატი

მიწოდების პირობა

GB

თქვენი მონაცემები ინახება ჩვენს არქივში კანონით დადგენილი დებულების L.D L.g.s 196/03 შესაბამისად და არ უნდა ეცნობოს ან მიეწოდოს მესამე მხარეს. შეგიძლიათ ჩვენს მონაცემების მენეჯერს ნებისმიერ დროს წერილობით მოსთხოვოთ თქვენი მონაცემები შეიცვალოს ან გაუქმდეს. თქვენ გაქვთ უფლება დააზუსტოთ ჩვენი პროდუქცია, ჩვენი ინიციატივები და სარეკლამო შეთავაზებები, რომლებიც დაცულია ჩვენი მომხმარებლისათვის. თუ თქვენ არ გსურთ მიიღოთ ასეთი კომუნიკაცია, დაუყოვნებლივ უნდა აცნობეთ ჩვენს მონაცემების მენეჯერს ამოგშალოთ ჩვენი არქივიდან.

მომხმარებელი

ეს ტექნიკა გადმომეცა მე დღეს, იგი აღჭურვილი იყო მომხმარებლის უსაფრთხოების რეკომენდაციების შესაბამისი სტიკერებით. ხელსაწყოთან ერთად მე აგრეთვე გადმომეცა ოპერირების და ტექნიკური სერვისის სახელმძღვანელო, რომელსაც ვალდებული ვარ ყურადღებით გავეცნო სანამ ავამუშავებ ხელსაწყოს.

ჩემი ყურადღება ასევე გამახვილდა უსაფრთხოების შენიშვნებზე და გონივრული გამოყენების მინიშნებებზე მოცემულ სახელმძღვანელოში, რომელზედაც მე ვიღებ ვალდებულებას თუ როგორ გამოვიყენო ეს ხელსაწყო, მე ასევე ვიღებ ვალდებულებას, დაუყოვნებლივ შევატყობინო დილერს რომ მითითებული ხელსაწყო ფუნქციონირებს არასწორად.

ასევე ვიცი, რომ გარანტია ადასტურებს იმ ფაქტს, რომ გარანტია, რომ ხელსაწყო მუშაობს სწორად, გათვალისწინებულია 12 თვეზე მიწოდებიდან, გარდა პროფესიული გამოყენებისა ან საკონტრაქტო გამოყენებისა, როგორც დადგენილია საგარანტიო პირობებით. ამ მიწოდების და გარანტიის ასლი მეკუთვნის მე და ხელი მოწერილია ჩემს მიერ.

დილერი

გარანტიას გაძლევთ, რომ ხელსაწყოს გააჩნია უსაფრთხოების ორიგინალი ხარისხი, სანამ არ შეიცვლება და არც მოდიფიცირდება ჩემს მიერ.

საგარანტიო პირობები GB

- მწარმოებელი გარანტიას იძლევა, რომ ხელსაწყოს რომელიც აღწერილია გარანტიის სერტიფიკატში, ა აქვს მასალის ხარვეზები და დეფექტები.
- მწარმოებელი გარანტიას გვაძლევს ტექნიკაზე 12 (თორმეტი) თვის ვადაში მიწოდების თარიღიდან (ქვე-კონტრაქტორების გარდა) ან ამ პერიოდში იღებს ვალდებულებას შეუკვეთოს ან შეცვალოს უფასოდ ის ნაწილები და დეფექტების ხარჯები საპოხი და სახარჯო მასალები, რომლებსაც შესაძლოა ჰქონდეს ქარხნული დეფექტი.
- ძრავაზე გარანტიას იძლევა შესაბამისი მწარმოებელი.
- გარანტია არ მოიცავს ელექტრო სისტემას, ნათურებს, ბატარეას, საბურავებს, ლუქებს, გადაბმის ფირფიტებს, სახარჯ მასალებს, რომლებიც მუშაობისას ექვემდებარება ცვეთას.
- გარანტია არ ფარავს ყოველდღიურ ტექნიკურ სერვისს. შეგახსენებთ, რომ გარანტია არ დაფარავს შრომის ღირებულებას ტექნიკური სერვისისთვის და ყველა სხვა ერთეულს, რომლებიც არ არის ჩამოთვლილი ამ ბროშურაში.
- გარანტიით გამოცვლილი ნაწილები უნდა დაუბრუნდეს მწარმოებელს მათი შეცვლიდან არაუგვიანეს 30 დღისა, წინააღმდეგ შემთხვევაში გარანტია უქმდება.
- მწარმოებლის ვალდებულება არ მოიცავს დაზიანებებს, რომლებიც გამოწვეულია ადამიანის მიერ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ გამომდინარეობს ქარხნული დეფექტიდან, პირდაპირი ან არაპირდაპირი დაზიანებები არ ანაზღაურდება.
- გარანტია უქმდება: თუ შეცვლილია ტექნიკაზე მოცემული საიდენტიფიკაციო მონაცემები, თუ გადაკეთებულია ტექნიკა, თუ ტექნიკა უბედური შემთხვევის მონაწილეა. გარანტია ასევე არ მოიცავს შემთხვევებს, როდესაც: მყიდველმა არ შეასრულა საკონტრაქტო ვალდებულებებით დადგენილი გადახდები, როდესაც აწყობა არ განუხორციელებია მიმწოდებლის პერსონალს, როდესაც ტექნიკა მოდიფიცირებულია ან შეკეთებულია მიმწოდებლის თანხმობის გარეშე.
- დავებს განიხილავს ვინცნაზას იურისპრუდენციის უფლებამოსილი ორგანო.
- გარანტია არ ფარავს ნებისმიერი სახის, მიმართულების, შედეგობრივ ან ადამიანებთან ან საგნებთან, სოფლის მეურნეობის პროდუქტებთან ან მოსავალთან დაკავშირებულ დაზიანებებს, ადამიანის მიერ დანაკარგს და სხვა ასეთი სახის დანაკარგს.

დილერმა უნდა გაუზავნოს ეს ცნობა უკან ბარბერის მიწოდების თარიღიდან 30 დღის განმავლობაში. კლიენტი დაკარგავს გარანტიის ყველა უფლებას თუ ეს სერთიფიკატი არ და გვიბრუნდება უკვან.

დილერმა უნდა შეავსოს კუპონი ს ყველა ნაწილი და გააგზავნოს ტექნიკის დამკვეთის მიერ მიღების დღეს. გაუზავნელობის შემთხვევაში და Barbieri-ს მიერ დაურეგისტრირებლობის შემთხვევაში, იგი კარგავს ყველა უფლებას და გარანტია უქმდება.